# ცნობის ფურცელი

სააღდგომო

14 აპრილი

დამატება!

№ 36.



## „განათლდი განათლდი ახალო იერუსალიმ“...

I

— დღეს როგორღაც ძალიან ჩაფიქრებულია მოძღვარი, აღარც წინანდებურად აღფრთოვანებით ლაპარაკი, აღარც ცეცხლის მფრქვეველ თვალთა ჩვეულებრივი ძლიერი გამომეტყველება... ვგონებ, დაჰღალა ამდენმა ბრძოლამ! ჰა, შენ რას იტყვი, მათე?—შეეკითხა სვიმონ - პეტრე იქვე მჯდომ ამხანაგს.

— შენ ჰგონებ და მე-კი დარწმუნებული ვარ, რომ ღონე აღარ შესწევს ამდენის ბრძოლისათვის. სადა-კი ფეხს გადახდგამს, ყველგან უმეცრება და უსამართლობა... ხუმრობაა.— მიუგო მათემ და ორივემ თვალი მიაპყრეს ნაძვის ძირას მჯდომ მოძღვარს.

მართლაც, მეტად ფერმიხდილი და ჩაფიქრებული იყო იგი და გულ-და-გულ მისჩერებოდა ტყის პირად მდებარე დახლართულ ბილიკს.

მოწაფეები კარგა ხანს ჩურჩულობდნენ .რაღაცას, მაგრამ მოძღვარი ყურადღებას არ აქცევდა არაფერს. იჯდა მდუმარედ და თვალს არ აშორებდა ერთ ადგილს.

ბოლოს, თითქო მოაგონდა რამეო, წამოდგა და მარტოდ-მარტომ ჩქარის ნაბიჯით გასწია მაღალ სერისაკენ.., პეტრემ თვალი გააყოლა.

აგერ, ავიდა კიდეცა, ცოტა შედგა, სული მოიბრუნა და გადაჰხედა მიდამოს... მწუხრი მოახლოვებული იყო. ჩამავალი მზის სხივები უკანასკნელად ეალერსებოდნენ დიდებულ ტაძართა მწვერვალებს. მოძღვარი რამდენსამე წამს გაშტერებული გადაჰყურებდა ნახევრად ჩრდილმიყენებულ ქალაქს და მკერდი ძალზე აუდ-ჩამოუდიოდა. მოძღვარმა უცბად შუბლზე ხელი გადისვა და ხლელვებულის ხმით წამოიძახა:

— იერუსალიმ, იერუსალიმ, რომელმან მოსწყვიდენ წინასწარმეტყველნი და ქვა დაჰკრიბე მოვლინებულთა შენ ზედა! აჰა, უკანასკნელად ვუმზერ შენს, უმეცრების მორევში ჩაფლულს, დიდებას და ზვარაკად გეწირები, რომ გიხსნა!.. დაე, დაჰღვარონ სისხლი მართლისა, მხოლოდ ეს, ეს იხსნის ურიასტანს... ოოჰ, არა, არ შეგიძლიან ქედი მომახრევინო უსამართლობის წინაშე და გულ-გრილად მაცქერინო სუსტთა და უმწეოთა ტანჯვისათვის... უნდა აღსრულდეს სიტყვა წინასწარმეტყველისა: „და შენ, ბეთლემ, ქვეყანა ეგე იუდასი, არა სადა უმრწემეს ხარ მთავართა შორის იუდასთა, რამეთუ შენგან გამოვიდეს წინამძღვარი, რომელმან დამწყსოს ერი ჩემი ისრაელი.“

მე დაგმწყსი შენ, ისრაელო, მე დავღვრი სისხლს შენთვის და აღგამაღლებ შენ მთავართა შორის იუდასთა...

— რაბბი!—შემოესმა მოძღვარს ქალის ტკბილი ხმა... იგი შეჩერდა. მოტრიალდა და გაალმურებულ შუბლზე კვალად გადისვა ხელი.

— მარიამ!..

გულ-ხელ დაკრებილი და გადაფითრებული ქალი თავ დახრილი იდგა და ხმას არ იღებდა.

— ცრემლები და კიდევ ცრემლები!—მწუხარედ წამოიძახა მოძღვარმა,—ნუ თუ შენ, რომელმაც დაიმორჩილე მეფენი ურიათა და დიაცის მსგავსად ატირე თვით რისხვით მგრგვინავი ვესაროც-კი, ვერ დაიმორჩილე ეგ გული?!.



**სინათლისაკენ.**—სურათი ფელდვენისა.

— გული?! სად-ღა მაქვს გული! სული ცოდვილი შენ განმისპეტაკე, მოძღვარო, გულის თქმათ ბოროტთ შენ ამხილე ჭეშმარიტება და ძალა ჩემი თანვე გაჰყვა სულსა და გულსა.. შენს წინ სდგას მხოლოდ უსულ-უგულო მძორი, ტანჯული, და არა გულის მესაკუთრე მაგდალინელი.....

— ოჰ—მწვავედ ამოიკვნესა მოძღვარმა და თვალებზე ხელი მიიფარა.

— მესმა, უფალო, მე შენი ხმა, შენი სიტყვები: თვით სოლომონის ტაძრის ნანგრევთ დაიწყეს რყევა... მთანი იძვ-

როდნენ და ბარად-კი ურიასტანი ვერხვივით თრთოდა, თითქო დღეა სალმობისაო... და შენ, მოძღვარო, იმას მირჩევ, რომ მე, უძლური, ცრემლს არ ვაფრქვევდე, როცა ცრემლის მორევში ვცურავ?.. დედათ მახვილი ცრემლი არის... და მეც ამ მახვილს ქარქაშში ველარ ჩავაბრუნებ, რაკი დავძარი... თუ წმიდა სისხლი ჩემის მოძღვრის და მაცხოვარის უნდა დაიქცეს, რომ დაიხსნას ურიასტანი, მე ვიღანა ვარ?—მატლი, ჭია... და რად იქნება, რომ ქენჯნილ მკერდში გული კიდევ გულადვე დარჩეს...



იერუსალიმის ქუჩა მაცხოვრის სასაფლაოსთან აღდგომა დღეს.

— მარიამ!.. წარწყმდა ისრაელი, ძლიერი ერი... და უნდა მოვკვდე, რომ საფლავში მყოფთ მივანიჭო ცხოვრება.. მხოლოდ ამ სიკვდილით დავთრგუნავ სიკვდილს.....

— რაბბი... ძლივს გამოსთქვა ქალმა ღონე-მიხდილი დაეცა იმის წინ...

— ნუ ჰღელავ... დამშვიდდი... წყნარად ეუბნებოდა მოძღვარი და ანუგეშებდა აღშფოთებულს მორწმუნე-ქალს...

— ჰხედავ! ოჰ, როგორ სიკვდილის აჩრდილივით დამდევს ეგ საძაგელი!.. მღელვარე ხმით წამოილაპარაკა ქალმა.

— ვინა?!

— აი, ხომ ხედავ!—მიუთითა ქალმა ტყისაკენ, სადაც მწვანე ფოთოლთა შორის ოდნავ-ღა მოსჩანდა გრძელი წითელი ქლამინდი ჩქარად მიმავალის კაცისა.

— ჰო, ისკარიოტელი?— უსიამოვნოდ ჩაილაპარაკა მოძღვარმა და ჩაფიქრდა..

— პასექია... სალმრთო დღესასწაული და ამავე დროს... სისხლით უნდა განიბანოს ურიასტანი... ოჰ... მაგრამ არა..-განვედით ჩემგან სათვალთმაქცო ამაოებავ! დაე სცნოს ყველამ რა ძალა აქვს ჭეშმარიტს რწმენას!—აღტაცებით წამოიძახა მოძღვარმა და მოწაფეებისაკენ გასწია... თვალ-ცრემლიანი მაგდალინელი-კი ადგილიდან ველარ იძვროდა.

II

გათენებამ მოატანა. ცის ლამპრები ოდნავ-ღა ბჟუტავდნენ და ის კი მაინც მტილთა შორის დაძრწოდა. რამდენიმე დღის უძინარს ერთხელ რული არ მოსვლია, თავი არსად მიუყრდვნია. აზვირთებული გონება მხოლოდ ერთსა და იმავეს იმეორებდა: იგი მოჰკვდა... ჯვარს აცვეს! და ყურში ისევ ზარივით ჩასწკრიალებდა გმირის სიტყვები: „მხოლოდ ამ სიკვდილით დავთრგუნავ სიკვდილსო“.

საცოდავს მოწაფე ქალს როგორ უნდოდა ერთხელ კიდევ ნამდვილად გაეგონა იმის ძლიერი ხმა, ერთხელ კიდევ შეეხედნა ღვთაებისათვის, მთხვეოდა იმის სამოსელს... მაგრამ იგი უკვე მკვდარი იყო და, ვინ იცის, დათრგუნავდა კი სიკვდილით სიკვდილს?

ეჭვი და მწუხარება ერთად აირივნენ იმის არსებაში და ნაკუწ ნაკუწად უფლეთავდნენ ტანჯვის ფიალად გარდაქმნილს გულს.

— არა, აღარ შემიძლიან!—თავგანწირვით წამოიძახა ქალმა და გიჟივით გაექანა ჯვარცმულის საფლავისაკენ. იგი ისე თავმოძულებული გარბოდა, რომ არც გზას ეძებდა, არც კვალს. მწვანე ბუჩქნარს ისეთი ლაწა-ლუწი გაჰქონდა, თითქო ძირიან ფესვიანად ამოფხვრას უპირებენო.

— მარიამ!—სულ ახლოს მოესმა ქალს ვიღაცის მისუსტებული ხმა.

ქალი შეჩერდა-მიიხედა და დაინახა რომ იუდა ეძახოდა.

— ოჰ, შე წყეულო, შე გამცემო, ღვთის გამყიდველო! ზეცის ძალთაგან განდევნილო, კაცთ საზიზღარო, უფლის მორწმუნე ქალის სახელს ვით-ღა ახსენებ! ან როგორ ჰბედავ მაგ ცოდვილის ფეხით დასთელო ის წმიდა მიწა, სად მაცხოვრის სისხლი დაინთხა!...

აი, აჰხედე შენის გველურ ამბორის ნაყოფს—თხემისა ადგილს, როგორ ბრწყინავს ჯვარი ქრისტესი და ქვესკნელს შთახედ, გარეწარო, ქვათ დასაკრებო! სიბილწის ბუდევ, განეშორე ამ არე-მარეს, თორემ ჩემისავ ფეხით გაგსრესს, ვით მატლს და ჭიას!... წყეულიმც იყავ მამათ-მთავრის იაკობისგან!

— სადღა წავიდე, ყველა მდევნის, ყველას მოვძულდი...

— მოღალატისთვის დედამიწას არა აქვს ბინა!—შესძახა გააფთრებულმა ქალმა და გასწია.

მაგდალინელი გულის ფანცქალით უახლოვდებოდა ჯვარცმულის საფლავს, რომ ცრემლში ნაღესი ნაღველი აქ, ამ ძვირფას ადგილთან გადმოენთხია და სასოებით ეამბორნა ამბორით გაცემულის საფლავზე...

მაგრამ, თითქო უფსკრულის ნაპირს მიადგაო, უცბად შეჩერდა, გაშტერდა...

— ქრისტე აღდგა!—გაისმა ცის ძლიერი გრგვინვა.

— ჭეშმარიტად!—შეჰღაღადა სისხლით შეღებილმა ქვეყანამ.

რეტ-დასხმული ქალი გონს მოეგო. წელში გასწორდა, ბროლის მკლავები განიპყრო და მედგარის ხმით დაიძახა: „განათლდი, განათლდი, ახალო იერუსალიმ, რამეთუ ძე შენი აღდგომილ არს მკვდრეთით!“

მძლავრი იერუსალიმი პირქვე დაემხო, პალატნი მისნი დამდაბლდნენ, ხოლო გოლგოთა, თხემისა ადგილი, დიდებულად და ამაყად გადმოჰყურებდა ურწმუნოებისა და უსამართლობის ნაშთს.

**განდეგილი.**



გამოცხადება ქრისტესი მარიამ მაგდალინის წინაშე.—სურათი ივანოვისა.

# ევა

კლდისა ნაპრალზე ობლად მდგომარე,
მშიერ-მწყურვალი, დასუსტებული,
მსხვერპლი უვიცთა უსამართლობის,
განაკიდარი, მოძულებული,

ღრმა ფიქრში იყო... ხან ცას უმზერდა,
ხან დაჰყურებდა აგორებულ ზღვას,
თითქო ელოდდა საშინელს რამეს:
წყლისაგან შთანთქმას, განგების რისხვას.

ზღვა აბობოქრდა, ზეცამ დასჭექა,
კიდითი კიდემ დაიწყო რყევა,
მაგრამ ადამის გვერდის ნამტვრევი
ამაყად იდგა სამსხვერპლოდ—ევა!

არ ეშინოდა არც ცის, არც ქვეყნის.
ქედს არ უხრიდა უძლეველს ძალას,
რადგან ექებდა მკურნალ მალამოს,
აღარც უფრთხოდა ნაღველ-სამსალას.

აჰა, დაწყნარდა ზღვა გულ-მქუხარე..
ცამ გადიწმინდა შავი ღრუბელი..
გამოჩნდა სხივი... და სიხარულით
მისკენ ააპყრო ევამაც ხელი!

12 აპრილს, 1902 წ. **განდეგილი**

# გასართობი

**გაშინაურებული ხვლიკები.** ამ მეტად მშიშარა ცხოველების მოშინაურების შესახებ პარიზის სამეცნიერო ჟურნალ „კოსმოს“-ის თანამშრომელი შემდეგს მოგვითხრობს. ერთხელ ის ეთვიდა (აწ გარდაცვალებულ) გამოჩენილ ბუნების მეცნიერთან ჯონსონთან, როდესაც ის კუნძულ მადერაზე იქაურ ზამთრის თბილ თვეებს განმარტოვებულს სახლში მთაზე ცხოვრებაში ატარებდა, ბუნებასთან სრულიად დაახლოვებული. ერთხელ, სადამოს, მზის ჩასვლის დროს, სტუმარი სეირნობდა ამ სახლის გვერდზე ბაღში, ერთი დაბალი კედლის მახლობლად, რომელიც მზისკენ იყო მიშვერილი და ბევრი ხუხრუტანები ჰქონდა და რომლებიც ხვლიკების სოროებს მოგაგონებდათ. ამ დროს, მზის ჩასვლისას, ხვლიკები სულერთიანად მიმალული და დაბინავებულნი იყვნენ თავიანთ სოროებში.

ჯონსონმა ჰკითხა სტუმარს: „არ გინდათ ნახოთ გაშინაურებული ხვლიკები?“ — მივიდა კედელთან და თითით რამდენჯერმე დაუკაკუნა. იმავე წუთს ერთის ხვრელიდან თავი ამოჰყო ერთმა ცნობის-მოყვარე... ხვლიკმა, იმას მოჰყვა მეორე, მესამე და ასე თორმეტამდე; ერთი თვალის დახამხამებაც, და ცხოველებმა სულ მიატოვეს თავიანთი ბინა; გამოცვივდნენ ჩვეულებრივის სიმარდით და ხელებზე შეასკუპდნენ თავიანთ მეგობარს, ჯონსონს, მერე შეაცოცდნენ სახელოებზე, შემდეგ მხარზე დარბოდნენ და დახტოდნენ იმის თავპირზე სრულიად თამამად და უშიშრად, და ამასთან ცხადად ეტყობოდა, რომ უმთავრესად ყურადღება პირისაკენ ჰქონდათ მიქცეული. მაშინ მეცნიერმა ძალიან წყნარად ხელით ჩამოიყვანა თავისი მეგობრები და თითოთითოდ შესხა სოროებში, რომლებშიაც ისევე მალე გაჰქრნენ, როგორც მალე გამოვიდნენ.

ჯონსონმა აუხსნა სტუმარს, რომ სულ რამდენიმე კვირის განმავლობაში შეიჩვია და გაშინაურა ხვლიკები. პირველ დღეებში დაუკაკუნებდა კედელს, სოროს პირთან შაქრის ნაჭერს დასდებდა და თითონ იქით მოშორდებოდა პატარა მანძილზე. თან-და-თან უახლოვდებოდა პირუტყვებს, მერე ხელზე შეიჩვია, და ხელიდან ართმევდნენ შაქარს; შემდეგ შაქარს დაიდებდა ტანისამოსის სახელოებზე, მხრებზე, თავზე და ბოლოს პირშიაც. ხვლიკები ისე მალე და ადვილად შეეჩვივნენ ამ მეცნიერის ალერსს, რომ ერთი კი დაეკაკუნებინა ნიშნად, და ისინი უცბად ყველანი გამოცვიოდნენ თავიანთ სოროებიდან და თავის მეგობრის ტანზე და თავპირზე უშიშრად დანავარდობდნენ.

გამომცემელი და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13 Апрѣля 1902 г.
ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხანაგობისა.